ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომის ოქმი

14 ივნისი 2017 წ., 14:00 სთ., სახელმწიფო კანცელარია

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ

ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი, ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე
- დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი
- ზურაბ ალავიძე, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი
- ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ირაკლი ხმალაძე, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე
- ზურაბ ძნელაშვილი, ბიზნეს ომბუდსმენი
- მაიქელ ქოუგილი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი
- გიორგი ჭირაქაძე, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი
- ნინო ჩიქოვანი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- იეშიმ ელჰან-კაიალარი, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში, აზიის განვითარების ბანკი
- მარიამ მელვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- ნინო გვენეტაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
- იანოშ ჰერმანი, ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარე
- ჯასტინ მაკკინზი სმიტი, დიდი ბრიტანეთის ელჩი
- პიტერ დენისი, პროგრამ მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია
- ოზან სევიმლი, საქართველოს ქვეყნის ოფისის თავმჯდომარე, მსოფლიო ბანკი
- გიორგი თაბუაშვილი, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
- ნიკოლოზ გაგუა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე
- ნინო ჯავახაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
- გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

- თამთა შერმადინი, საკონსულტაციო სერვისების უფროსი, PWC საქართველო
- ბექა ინჯია, იურიდიული მრჩეველი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ლორეტა მარტიკიანი, ევრობანკი
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ერეკლე კოკაია, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

გიორგი კვირიკაშვილის, პრემიერ მინისტრის სიტყვა:

- მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მათ შეხვედრის განრიგი.

მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი:

- მიესალმა სტუმრებს, მათ შორის სხდომაზე მოწვეულ განსაკუთრებულ სტუმრებს, ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარე, მის აღმატებულება იანოშ ჰერმანსა და გაერთიანებული სამეფოს ელჩ მის აღმატებულება ჯასტინ მაკკინზი სმიტს, რომელსაც მადლობა გადაუხადა ინვესტორთა საბჭოს მიერ წარდგენილი ტექნიკური დახმარების პროექტების მხარდაჭერისთვის.

2017 წლის 24 იანვარს ინვესტორთა საბჭოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

1. საგადასახადო ადმინისტრირება

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს მიერ მხარდაჭერილი ორი პროექტი უკვე დასრულდა;
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო (ისს) მუშაობს ახალ ტექნიკური დახმარების პროექტზე, რომელსაც PWC ხელმძღვანელობს და რომელიც ბრიტანული GGF-ის მიერ არის დაფინანსებული. ეს პროექტი უზრუნველყოფს დღგ-ს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომ დახვეწას.
- ეს პროექტი აგრეთვე დახმარებას გაუწევს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო აუდიტის ახალი, რისკზე დაფუძნებული მეთოდის შემდგომ განვითარებას.
- პროექტი ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების გაზრდასა და გადასახადებისთვის თავის არიდების შემთხვევების შემცირებას. აგრეთვე პროექტი ხელს შეუწყობს გადამხდელებისთვის მომსახურების გაუმჯობესებას.

2. სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით შეთავაზებული ცვლილებები

მომხსენებელი: გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო:

ძირითადი საკითხები:

- იუსტიციის სამინისტრომ და უზენაესმა სასამართლომ გამოთქვეს სურვილი, რომ იმუშაონ სარჩლის უზრუნველყოფის საკითხზე, ისე რომ ის უკეთ პასუხობდეს ბიზნესის საჭიროებებს
- **ისს** თანამშრომლობს სასამართლო ხელისუფლების, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წარმომადგენლებთან, GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების) მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომლის ამოცანაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საჭირო ცვლილებების მომზადება.
- სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს, რათა გაუმართლებელი ზიანი არ მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს
- არ უნდა ხდებოდეს მხარისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ხანგძლივი პერიოდით მისი აქტივების დაყადაღება და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეშლა.

3. სასამართლო რეფორმა

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო:

ძირითადი საკითხები:

- საქართველოს სასამართლოში შექმნილი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის რეპუტაციაზე; ინვესტორთა საბჭომ მრავალგზის გაუსვა ხაზი სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობას.
- როგორც პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა, იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა ინიციატივა კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის თაობაზე საერთო სასამართლოების სისტემის ფარგლებში. ინიციატივის მიზანია, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს შეუქმნას უფრო კომფორტული გარემო ინვესტიციების განხორციელებისთვის.
- **ისს** და იუსტიციის სამინისტრო თანამშრომლობენ დონორების მოსაძიებლად, რომლებიც დაეხმარებიან საქართველოს ხელისუფლებას კომერციული პალატების ჩამოყალიბებაში.
- ამ ინიციატივის ტექნიკური მხარდასაჭერად რამდენიმე დონორი დაინტერესდა.

- საერთაშორისო იურიდიული კომპანია Dechert -ისა და და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კომერციული პალატების კონცეპცია. ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს, GGF და PwC/Dechert ძალისხმევით შემუშავებულ იქნა ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც მოიცავს: რისკისა და სარგებლის ანალიზს, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, სტრუქტურულ/ორგანიზაციული და ტექნიკური დაგეგმვასა და ფინანსური გეგმის შემუშავებას.
- დიდი ბრიტანეთის მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ ინიციატივას, თუკი საქართველოს ხელისუფლება გამოხატავს სრულ მზადყოფნას მისი განხორციელებისთვის.
- იუსტიციის სამინისტრომ მიმართა ევრობანკს, კომერციული პალატების ახალი მოსამართლეების შერჩევისა და მათთვის ტრენინგ-პროგრამების ორგანიზებაში დახმარების თხოვნით.
- GIZ-მა გამოხატა კომერციული პალატების შექმნის ინიციატივაზე RIA-ს (რეგულირების გავლენის ანალიზის) ჩატარების სურვილი.

კომენტარები:

ბრუნო ბალვანერამ, ევრობანკის კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორმა, აღნიშნა რომ:

- სასამართლო რეფორმა ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელზეც **ისს** მუშაობს და გამოხატა რწმენა, რომ შემოთავაზებული გამოსავალი გონივრულია და იძლევა ნდობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი ახალი ინსტიტუტის შექმნის შესაძლებლობას.
- საჭიროა იქნება პოტენციური საკონსტიტუციო ცვლილებების დროული გააზრება ამ პალატების ჩამოყალიბებისთვის და ასევე პროცესების სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ამ ახალი ინსტიტუტისადმი საზოგადოებრივი ნდობის გასაჩენად.

მაიქელ ქოუგილმა, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ:

- კომერციული პალატა წინ გადადგმული ნაბიჯია.
- დაინტერესება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება პალატების დამოკიდებულება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, რადგან საუკეთესო შემთხვევაში ისინი იუსტიციის უმაღლეს საბჭოსგან დამოუკიდებლად უნდა მუშაობდნენ.

იან ვან ბილსენმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, რეგიონალურმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში:

- ხაზი გაუსვა კერძო სექტორის მიერ აღქმული სასამართლო სისტემის პრობლემების სამწვევეს.

თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა:

- მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის მთავრობას, ევრობანკსა და გერმანელ პარტნიორებს კომერციულ პალატებთან დაკავშირებით მათი მხარდაჭერისათვის.
- აღნიშნა, რომ ინიციატივის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია მხარდაჭერის გაგრძელება და გამოცდილების გაზიარება, განსაკუთრებით ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის სფეროში.
- პალატების მოსამართლეები უნდა იყვნენ ახალგაზრდა, თუმცა გამოცდილი და საქმის მცოდნე პირები, კომერციული სამართლისა და ინგლისური ენის კარგი ცოდნით.

ჯასტინ მაკკინზი სმიტი, დიდი ბრიტანეთის ელჩი:

- დიდი ბრიტანეთი მოხარული იქნება, მხარი დაუჭიროს კომერციული პალატების შექმნის ინიციატივას, თუმცა გვსურს ვიცოდეთ ხელისუფლების ხედვა ამ საკითხზე, მათ შორის იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დამოკიდებულების თაობაზე.

გიორგი ჭირაქაძემ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტიმა:

- გააცნო საბჭო საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 100% მთავარ პრობლემად სასამართლოს ასახელებს.
- ხაზი გაუსვა საზოგადოებასთან კომუნიკაციის მნიშვნელობას ახალი პროექტის შესახებ, რათა სასამართლო სისტემისადმი ნდობა აღდგეს.

გიორგი კვირიკაშვილმა, თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრმა:

- მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის ელჩს, ბატონ ბრუნო ბალვანერასა და ყველა მონაწილე მხარეს მათი ჩართულობისთვის.
- განმარტა, რომ პრობლემა ორ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთის მხრივ, კომერციული პალატების მოსამართლეების კომპეტენტურობა და ამ პალატების შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ ზოგადად სასამართლო სისტემის გამოწვევები.
- სასამართლოსთან დაკავშირებული პრობლემატიკა კი დამატებით იყოფა აღქმის პრობლემად, რომელიც სასამართლოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის უკეთესი კომუნიკაციით უნდა გამოსწორდეს და ფუნდამენტალური საკითხებად, რომელსაც ასევე აუცილებლად უნდა მოევლოს.

- აღნიშნა, რომ პირადად იქნება ჩართული სასამართლოს ფუნდამენტურ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

იანოშ ჰერმანმა, ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ:

- აღნიშნა რომ ევროკავშირი მრავალი წელია მხარს უჭერს საქართველოში სასამართლო რეფორმას.
- ისაუბრა იმაზე, თუ რა ეტაპზეა რეფორმის პროცესი.
- ხაზი გაუსვა ევრო-ასოციაციის შეთანხმების დებულებებს, რომელიც მოიცავს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ეფექტურობას, მიუკერძოებლობასა და მოსამართლეების პროფესიონალიზმს, რომელებიც ნებისმიერი პოლიტიკური ან სხვა სახის არასასურველი ჩარევისგან თავისუფალი უნდა იყვნენ. ამ წინამძღვრების დაცვა აუცილებელია სწრაფი და გამჭირვალე სასამართლოს ჩამოსაყალიბებლად
- გამოხატა რწმენა, რომ ამ ღირებულებებს საქართველოს მთავრობაც იზიარებს
- უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ განახორციელებს სასამართლო ხელისუფლება განვითარების ახალ სტრატეგიას პრაქტიკაში
- ევროდელეგაციის მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეინიშნება: დარღვევები მოსამართლეების არჩევა, დანიშვნასა და დაწინაურების პროცესში; წინასწარი გარიგებები საქმეებთან დაკავშირებით; პროცედურული ხარვეზები; ფავორიტიზმი; კორუფცია და არასასურველი ჩარევები.
- ახსნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომერციული პალატები კარგი იდეაა, აუცილებელია მიუკერძოებლობის და სამართლიანობის უზრუნველყოფა.
- აღნიშნა, რომ ევროკავშირის დელეგაცია კვლავაც გააგრძელებს საქართველოს სასამართლო რეფორმის მხარდაჭერას.

გადაწყვეტილება: ახალი ფორმატის დაარსება და მისი პრემიერ მინისტრისთვის წარდგენა მომდევნო ფუნქციონირებისთვის.

4. რეკომენდაციები ტურიზმის ბიუჯეტზე

მომხსენებელი: მარიამ მელვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- წარადგინა პრეზენტაცია ტურიზმის ბიუჯეტთან დაკავშირებით მომზადებული რეკომენდაციების თაობაზე.
- ისაუბრა სამომავლო ბიუჯეტის დაგეგმვაში დამოუკიდებელი საკონსულტაციო ჯგუფის ჩართვის სასურველობაზე.

- აღნიშნა რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ წამოიწყო ტექნიკური დახმარების პროექტი, რათა დაეხმაროს ტურიზმის ადმინისტრაციას ამჟამინდელი სარეკლამო ღონისძიებებისა და პიარ-კამპანიების შეფასებაში, ასევე, ამ ღონისძიებების პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შესაფასებლად, მეთოდოლოგიის დანერგვაში.
- **ისს**-მ პროექტის დაფინანსების თხოვნით მიმართა GGF-ს. რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრა პროექტის ინიცირების მიზნით უკვე შედგა.

გიორგი ჩოგოვაძემ, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის უფროსმა:

- ისაუბრა საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის 2017 წლის ახალ ინიციატივაზე.

გიორგი კვირიკაშვილი, თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი:

- საერთაშორისო რეკლამაზე ყურადღება მნიშვნელოვანია, მაგრამ აგრეთვე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შიდა პრობლემებზე, მაგალითისთვის ინფრასტრუქტურაზე.

გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია:

- საერთაშორისო ბრიტანულმა კომპანიამ ჩაატარა „ანონიმური მყიდველის“ ტიპის კვლევა საქართველოს სამ საერთაშორისო აეროპორტში და შედეგებიც უკვე მზად არის.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გააგრძელებს თანამშრომლობას ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციასთან ბიუჯეტის დაგეგმვაში და მის ტექნიკურ დახმარებას. ტურიზმის ადმინისტრაცია გააცნობს ინვესტორთა საბჭოს კვლევის შედეგებს.

ხელისუფლების წარმომადგენლის პრეზენტაცია

5. საპენსიო რეფორმა

მომხსენებელი: ნინო ჯავახაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე

ძირითადი საკითხები:

- წარუდგინა საპენსიო რეფორმის პროგრესი ინვესტორთა საბჭოს.
- აღწერა საპენსიო სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა.

- მადლობა გადაუხადა აზიის განვითარების ბანკს და მსოფლიო ბანკს გაწეული დახმარებისთვის.
- აღნიშნა, რომ რეფორმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვა-კონსულტაცია ზაფხულში დაიწყება.
- კანონპროექტი პარლამენტს შემოდგომისთვის წარედგინება.

გიორგი ჭირაქაძემ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა:

- ხაზი გაუსვა საპენსიო რეფორმის მნიშვნელობას საქართველოს მომავლისთვის.
- გამოთქვა სურვილი, რომ ინვესტორთა საბჭოს ერთი შეხვედრა მხოლოდ ამ რეფორმას დაეთმოს.

გადაწყვეტილება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაიწყებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან დისკუსიას საპენსიო რეფორმის თაობაზე, ხოლო **ისს** შეხვედრებს გაუწევს კოორდინაციას საჭიროებისამებრ.

6. გადახდისუუნარობის კანონის და მეწარმეთა შესახებ კანონის დრაფტი

მომხსენებელი: გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამეწარმეო სამართლის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგება საქართველოს მოწინავე ბიზნეს იურისტებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისგან, განიხილა კანონპრექტი და ჩამოაყალიბა საერთო პოზიცია, რომელიც ეხმიანება საქართველოს ბიზნეს საზოგადოების მოსაზრებებს.
- **ისს** წარუდგენს აღნიშნულ დოკუმენტს შესაბამის სამინისტროებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს და იმედოვნებს რომ, რჩევები გათვალისწინებული იქნება კანონპროექტში, პარლამენტისთვის მის წარდგენამდე.
- ახალი კანონი მეწარმეთა შესახებ ხელს შეუწყობს სტაბილურ იურიდიულ ბაზას და სასამართლო პრაქტიკას.
- კანონპროექტი აგრეთვე უზრუნველყოფს ქართული სამეწარმეო სამართლის ჰარმონიზაციას ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.
- გადახდისუუნარობის კანონთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად, შეიქმნა საგანგებო სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტებისაგან; ჯგუფის მუშაობაში ჩართულია ინვესტორთა საბჭოს სამდივნოც.

- EBRD-ის სამართლებრივი რეფორმების გუნდმა გამოთქვა სურვილი, მოგვაწოდოს კომენტარები კანონპროექტზე, როგორც კი ტექსტი მზად იქნება.
- გადახდისუუნარობის კანონის დრაფტი შედგენის შემდგომ შესაძლებელია ჩატარდეს RIA, რომელიც შეაფასებს საკანონმდებლო ცვლილებების შესაძლო შედეგებს.

მარიამ მელვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის კანონის პრობლემის გადაჭრა არა მხოლოდ ქვეყნის ბიზნეს გარემოსთვის, არამედ ქვეყნის რეპუტაციისთვის.
- განმარტა, რომ საქართველოს Doing Business რეიტინგის გაუმჯობესება გადახდისუუნარობის თვალსაზრისით ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს საქმიანობის წარმატების ინდიკატორიც იქნება.

დიმიტრი ქუმსიშვილმა, პირველმა ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა:

- აცნობა ინვესტორთა საბჭოს, რომ მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი და უფროსი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი პოლ რომერი დაინტერესებულია საქართველოს დახმარებით გადახდისუუნარობის კანონთან დაკავშირებით. ის საქართველოში ჩამოსვლას სექტემბრისთვის გეგმავს, რა დროისთვისაც დრაფტი შეიძლება მზად იყოს.

ბრუნო ბალვანერამ, ევრობანკის კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის რეგიონალურმა დირექტორმა:

- მიულოცა საბჭოს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.
- მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს ხელისუფლების მიერ სასამართლოს რეფორმირების მტკიცე მხარდაჭერისთვის.

გიორგი კვირიკაშვილმა, თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა:

- ისაუბრა მიღებული გადაწყვეტილებების დანერგვისთვის ინკლუზიური სამუშაო ფორმატის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე.

გადაწყვეტილება: ორივე კანონის დრაფტი დასრულდება უახლოეს მომავალში. **ისს** გადახდისუუნარობისა და მეწარმეთა შესახებ კანონპროექტებს შესაბამის სამინისტროებს მიაწვდის.

7. დისკუსიის დამატებითი თემები

შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა კიდევ ორი ახალი თემა განიხილეს.

ა) შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილება ეგრედწოდებულ თავისუფლების აქტთან დაკავშირებით

გიორგი ჭირაქაძე, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი:

- თორმეტმა ბიზნეს ასოციაციამ გააკეთა ერთობლივი განცხადება საკონსტიტუციო ცვლილებასთან, კერძოდ, 94-ე მუხლთან დაკავშირებით (ე.წ. „თავისუფლების აქტი“), რომელიც კრძალავს მთავრობის მიერ საგადასახადო ტარიფების ზრდას; ყველა ბიზნეს ასოციაცია მიიჩნევს რომ მუხლი ხელუხლებელი უნდა დარჩეს.
- მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანის კონსტიტუციაში ასეთი მუხლი არ არსებობს, მისი ამოღება კონსტიტუციიდან არ არის სასურველი, რადგან ინვესტორები შეშფოთებულები არიან რადიკალური მემარცხენე შეხედულებების მომძლავრების საფრთხით.

ბ) შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილება სასოფლო სამეურნეო მიწის მფლობელობასთან დაკავშირებით

გიორგი ჭირაქაძე, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი:

- უცხოელი მოქალაქეებისათვის სასოფლო სამეურნეო მიწის მფლობელობის უფლების ჩამორთმევა საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის საფინანსო ინსტიტუტებს, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს აგრობიზნესების დაფინანსებაში, და აგრო სექტორს შეეზღუდება ფინანსებზე წვდომა.

გიორგი კვირიკაშვილმა, თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა:

- აღნიშნა ბატონი ჭირაქაძის მიერ ნახსენები თემების აქტუალურობა.

მაიქელ ქოუგილმა, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა:

- გამოხატა მისი წუხილი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა არასაკმარისი კომუნიკაციას კერძო სექტორთან, რის გამოც ამერიკის სავაჭრო პალატის ბევრი წევრი ვერ ხვდება თუ რა დგას ამ ინიციატივის უკან.

ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი:

- სოფლის მეურნეობა საქართველოს ერთერთი მთავარი პოტენციალია, ამიტომ უნდა არსებობდეს გამონაკლისი მაღალტექნოლოგიური კომპანიებისთვის.

- ერთი წელი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ბანკების მიერ აქტივების რეალიზაციისთვის.

8. სხვადასხვა

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი

- იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმეების ელექტრონული წესით განაწილების საპილოტო პროექტს დაესწრებიან;
- იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა მედიაციის ახალი კანონპროექტი, რათა ხელი შეეწყოს სასამართლოების განტვირთვას.

საბჭოს შემდგომი სხდომა გაიმართება 2017 წლის 6 სექტემბერს

შეხვედრის დღის წესრიგი ჩამოყალიბდება პროცედურით გათვალისწინებულ ვადებში

გიორგი კვირიკაშვილი	მარიამ მეღვინეთუხუცესი
ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი